

ნათელა მუზაშვილი

სინონიმის საკითხისათვის ტექნიკურ ტერმინოლოგიაში

სისტემურ ურთიერთობათა ერთ-ერთი გამოხატულება ენაში სინონიმთა არსებობაა. სინონიმური წყვილები ერთგვარ ობიექტურ სინამდვილეს აღნიშნავს და ერთ აღსანიშნზე მიუთითებს, მაგრამ, ბუნებრივია, ისინი მხოლოდ იდენტური ოდენობები არ არიან. ხშირად მათ შორის შეიძლება უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შესამჩნევი სემანტიკური ნიუანსი იყოს [დამბაშიძე 35]. სხვაობა წყვილებს შორის ზოგჯერ შეიძლება თვალსაჩინო იყოს, მაგრამ ისინი მაინც სინონიმებს წარმოადგენდეს, რადგან ერთი საერთო ნიშანი აერთიანებთ – ესაა მათი ნომინაციური ფუნქცია: კერძოდ, ისინი ერთსა და იმავე **დენოტატს** (ანუ საგანს, მოვლენას, ფაქტს) აღნიშნავენ. მაგ., **ხოფი** და **ნიჩაბი** – **ხოფი წავის მოსასმელი ნიჩაბია; ნიჩაბი** უფრო ვრცელ სემანტიკურ ველს მოიცავს: 1. ხისგან გამოთლილი იარაღი მარცვლეულის მოსახვეტად; 2. ნიჩაბი მიწის სამუშაოებისათვის; 3. ხოფი.

სინონიმები თავისებურ მიკროსისტემას ქმნის ენის საერთო სისტემაში. ისინი შეიძლება არა მხოლოდ წყვილი სისტემებით იყოს წარმოდგენილი, არამედ სამი, ოთხი და მეტი ერთეული იძლეოდეს სინონიმურ მწკრივს. მაგ.: **ფხვნა, ნეცვა, დანამცეცება, ფშვნა**. ამ მწკრივებში ერთი ძირითადი სიტყვა, ანუ **დომინანტი** გამოიყოფა, დანარჩენები მნიშვნელობით ნიუანსებს შეიცავენ.

ძირითადად ლექსიკურ სისტემაში სინონიმთა ორ ჯგუფს გამოყოფენ: ლექსიკურსა და გრამატიკულს (მორფოლოგიურს, სინტაქსურს). გრამატიკული სინონიმები ფუნქციურად მსგავსი მაჩვენებლების მქონე ერთნაირი სიტყვებია და, ზოგადად, ტექნიკურ ტერმინოლოგიაშიც უხვად დასტურდება, მაგ.: **გაზარიტული, საგაზარიტო; აირისა, აირონი, აიროვანი; გრიგალისა, გრიგალური; ხრახნისა, ხრახნული, ხრახნიანი**. ლექსიკური სინონიმები ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის სხვადასხვა სიტყვაა. ზოგადად, ენაში ლექსიკური სინონიმები შეიძლება იყოს სემანტიკური, სხვაგვარად, იდეოგრაფიული და სტილისტიკური, ანუ როგორც მკვლევართა ნა-

წილი უწოდებს – ექსპრესიული (წასვლა, წათრევა). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ექსპრესიული სინონიმები ტექნიკურ ტერმინოლოგიაში არ გვხვდება. ეს ბუნებრივიცაა, ემოციურად ტექნიკური ტერმინები **ნეიტრალური** უნდა იყოს.

ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, ისევე, როგორც საერთო ენაში, სინონიმების გაჩენის საფუძველი შეიძლება სხვადასხვა იყოს. უმეტესად სინონიმები ჩნდება, როცა: 1) საქმე გვაქვს სიტყვათესხებასთან, რომელიც ენის გამდიდრების უმნიშვნელოვანესი წყაროა: **ალმასი – ანდამანტი; ანემოგრაფი – ქარჩამწერი; ანემომეტრი – ქარსაზომი** და სხვ.

2) ამა თუ ის ტერმინის ე. წ. „ყოფითი სიტყვებია“ გამოყენებულნი: **საზეთი – საპოხი; დაბრეცა – დააფრაკება (коробиться); საგოზი – სალესი; კიდე – ნაპირი** და სხვა.

3) გვხვდება სტრუქტურული სახის სინონიმები, ანუ ერთი ფორმა მეორის შემოკლებული ფორმაა, მაგ.: **ტენის გაცლა // ტენგაცლა; გოგირდის მჟავა // გოგირდმჟავა**. სტრუქტურული ხასიათისაა ასევე: **ოქროთი დაფერვა – მოოქრვა; ცეცელგამძლე აგური – კოხი; მთის ბროლი – ქარწხი** და მისთ.

4) ტექნიკურ ტერმინოლოგიაშიც ნიუანსური სხვაობა ხშირად ქმნის სინონიმთა მწკრივებს, მაგ.: **звон – რეკა, წკარუნი, ჟღერა, ჟღარუნი; извлечение – ამოღება, ამოდრობა; кантовка – გადაბრუნება, გვერდის შებრუნება, გადაყირავენა (кантовка² – მოკანტვა)**.

ცნობილია, რომ სინონიმთა არსებობა საერთო-სალიტერატურო ენაში დადებით მოვლენადაა მიჩნეული. რაც უფრო მეტია სინონიმთა რიცხვი, მით უფრო მდიდარია ენა. მისი გამომხატველობითი უნარი თავიდან აცილებს ენას ერთფეროვნებას, არასაჭირო პლეონაზმებს (ანუ ლოგიკურად ზედმეტ სიტყვებსა და გამოთქმებს), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინოლოგიურ სისტემებში სინონიმის არსებობა ერთ-ერთ სადავო საკითხადაა მიჩნეული. იგი, როგორც პოლისემია და ომონიმია, უარყოფით ფაქტადაა აღიარებული. ტერმინოლოგიაში უმჯობესია ნიშანსა და აღსანიშნ შორის ცალსახა დამოკიდებულება არსებობდეს, ანუ ნიშანთა სისტემა ცნებათა სისტემის იზომორფული უნდა იყოს. კიდევ უფრო უარყოფითი დამოკიდებულებაა აბსოლუტური სინონიმების, ანუ დუბლეტების მიმართ, რომლებიც არავითარ ნიუანსს არ იძლევა. მიიჩნევენ, რომ მათ

შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელობათა გადანაწილება და ტერმინთა არაადეკვატური გადააზრება.

ახალ ტექნიკურ ტერმინოლოგიაზე მუშაობამ სინონიმებთან დაკავშირებით გარკვეული ტენდენციები გამოკვეთა. უპირველესად შევხებით აბსოლუტურ სინონიმებს, ანუ სესხებასთან დაკავშირებით გაჩენილ ფორმებს. მიუხედავად მათი გაჩენის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებისა, აბსოლუტური სინონიმების არსებობა რეალური ფაქტია და მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინოლოგებს სჭირდებათ დიდი ძალისხმევა და მნიშვნელოვანი ნაბიჯები უცხოურ ტერმინთა ასაცილებლად. დღეს, როცა უამრავი ტერმინი შემოდის და მკვიდრდება, სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების საშური საქმეა ქართული ეკვივალენტების მოძიება.

საერთაშორისო ტერმინისა და ქართული ტერმინის თანაარსებობა ერთი იმ შემთხვევათაგანია, როცა ყველაზე ნაკლებად ხერხდება სინონიმის თავიდან აცილება. სინონიმის ამოღების საკითხი მწვავედ იყო დასმული ქართული ტერმინოლოგიური მასალის მიმართ. საჭირო იყო, აქტიური ხმარების სინონიმური მნიშვნელობის ორი სიტყვიდან ერთ-ერთს მინიჭებოდა უპირატესობა. ასე ამოვარდა **შუქფარი**, დარჩა **აბაყური**; **базáлт** – **ბაზალტი** // **ჭეო** (35-37), დარჩა **ბაზალტი**; **áспид** – **ქვადაფა**, **ასპიდი** (35-37), დარჩა **იასპი** (77); **армировка** – **ჩონჩხი**, **ჩონჩხედი** (35-ში) (57-77-ში **დაარმატურება**); **бáзис** – **ფუძე**, **ბაზისი** (35-ში), 57-ში შეცვლილია ადგილმდებარეობა – **ბაზისი**, **ფუძე**, 77-ში მხოლოდ **ბაზისია**. **рыгель** – **ბუგელი**, **დიბლიგი** (35-ში). თუ შევადარებთ 35, 57, 77 წლების ტექნიკურ ტერმინოლოგიებს, ამგვარი მაგალითები საკმაოდ ბევრია, თუმცა საპირისპირო შემთხვევებიც არის: 35-ში გვაქვს **бандáж** – **ბანდაჟი**, **არტახი**, ასევე 57-შიც, მაგრამ 77-ში გვაქვს მხოლოდ **არტახი**.

ვფიქრობთ, ყველა ქართული ტერმინის, რომლებიც 35 წლის ტერმინოლოგიაშია, უკლებლივ აღდგენა და დამკვიდრება, ბუნებრივია, შეუძლებელია, მაგრამ ერთი ფაქტია, უნდა შევეცადოთ ის ქართული მეწყვილეები, რომლებიც ენამ მიიღო და სპეციალისტები აქტიურად იყენებენ, სპეციალისტებთან შეთანხმებით ტერმინოლოგიებში ცალეულეზად შევიტანოთ. ამ აზრს განგვიმტკიცებს ბოლო წლებში გამოკვეთილი ტენდენცია – დარგობრივი ტერმინოლოგიის სპეციალისტებისა და სტანდარტიზაციის კომიტეტის მოთხოვნა –

სინონიმური ტერმინებიდან ერთი ავირჩიოთ გაბმულ ტექსტებში და თუ მისაღებია, ეს იყოს ქართული. აქვე მოვიყვანთ ვ. ბერიძის სიტყვებს: „თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენ უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მარტო მშობლიური დარჩება სახმარებლად [ბერიძე 1952: 32]. ვფიქრობთ, ახალ ტერმინოლოგიაში დაისმება სინონიმთა ფორმების საკითხი:

1) უპირატესობა მიენიჭება ქართულ ტერმინებს, ამიტომ ისინი დაიკავებენ შესიტყვებაში პირველ ადგილს: анемометр იქნება **ქარსაზომი, ანემომეტრი**; анемограф – **ქარჩამწერი, ანემოგრაფი** (აღსანიშნავია, რომ 57-ში ჯერ ქართულია); блок – **ჭოჭნაქი, ბლოკი**; бухта – **ბუხტი, ხეულა**; фронт – **ფრონტი, შუბლი**. აქაც უნდა შევნიშნოთ, რომ შესიტყვებაში **ხეულა**: бухта провода – **სადენის ხეულა. ხეულა** მიიღო სტანდარტიზაციის კომიტეტმა, ასევე სამხედრო ტერმინოლოგიამ. ქალბატონი როგნედას პირად არქივში შენახულია ბატონი არნოლდის შენიშვნა ტექნიკურ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით, რომელშიც წერს: „რა საჭიროა სინონიმური ტერმინები, თუ შესიტყვებაში მხოლოდ ერთი დასტურდება“. ამ თვალსაზრისითაც ჩვენ მასალას განვიხილავთ, რა თქმა უნდა, სპეციალისტებთან შეთანხმებით.

2) ხშირია შემთხვევები, როცა სინონიმური წყვილებიდან ბუდეში მხოლოდ ნასესხები სიტყვაა. ასეთ შემთხვევებში ჩვენ თავდაპირველ ეტაპზე ბუდეში შევიტანთ ქართულ ტერმინსაც, მაგ.: аңсорбер – **აბსორბერი, შთამნთქმელი**; **წყობურა აბსორბერი** იქნება ასევე **წ. შთამნთქმელი**; **ზედაპირული აბსორბერი – ზ. შთამნთქმელი** და მისთ. ვფიქრობთ, ეს წინადადგმული ნაბიჯი იქნება ქართული ტერმინის დასამკვიდრებლად. მოვიყვანთ მაგალითისათვის ტერმინ **фрѣза** – **ფრეზი, საღარავი**. ბუდეში მხოლოდ **ფრეზია**, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტები აქტიურად ხმარობენ შესიტყვებაშიც **„საღარავს“**. ახალ ტერმინოლოგიაში **საღარავი** პირველ ადგილს დაიკავებს და შესიტყვებებშიც პარალელური ფორმა გაჩნდება. **„საღარავი“** გატარდა სტანდარტებში და სამშენებლო ტერმინოლოგიასა და სამხედრო ტერმინოლოგიებზე მუშაობისასაც სპეციალისტებმა ამ ტერმინს მიანიჭეს უპირატესობა. ამ ტიპისაა **кронштейн** – **კრონშტეინი, ბჯენი**.

3) სინონიმთა საკითხის განხილვისას ყურადღებას ვამახვილებთ პუნქტუაციურ გაფორმებაზე. სინონიმები, ჩვეულებრივ, მძიმეებით გამოიყოფა. აშკარად შეიმჩნევა 77 წლის სინონიმებზე დაკვირვებისას სემანტიკური დაცილება რომელიმე მეწყვილისა. ასეთებია: выпекание – **გამოცხობა, გამოშრობა, გამოწვა, გამოხმობა**. ასეთი შემთხვევები გათვალისწინებული იქნება და წერტილ-მძიმით გამოიყოფა; вынуживание – **გაბურღვა, გამობურღვა, გაყვანა**. აქაც **გაყვანის** წინ დაისმება წერტილ-მძიმე, ასევე шов – **ნაკერი, ნაწიბური**.

4) ახალ ტერმინოლოგიაში ზოგი ტერმინი გაიცხრილება. ეს ეხება არაქართულ ტერმინებს, რომლებიც აღარ იხმარება. მაგ., вёшалка – **გარაბადი, კარჩხა, საკიდი**.

5) ამოღებულ იქნება ასევე ხელოვნური ფორმები, რომლებიც ვერ მიიღო ენამ, მაგ.; загрязнение – **გაჭუჭყიანება, გაუსუფთაოება**.

ამგვარად, სინონიმია როგორც საერთო ქართულში, ასევე ტექნიკურ ტერმინოლოგიაში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. ახალ ტერმინოლოგიაში აუცილებელია ყველა სირთულის გათვალისწინება და მეტ-ნაკლებად გამარტივება.

ლიტერატურა

ბერიძე 1952 – ვ. ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის, მეცნიერება და ტექნიკა, № 7, თბილისი.

ტექნიკური ტერმინოლოგია, 1935, 1955, 1977, თბილისი.

დამბაშიძე 1986 – რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბილისი.

Natela Muzashvili

On the Issue of Synonyms in the Technical Terminology

S u m m a r y

One of the expressions of the system relations is the existence of synonyms in a language. They create a micro-system in the whole system of a language.

In the technical vocabulary, as well as in the entire language, the reason of producing synonyms may be different.

Working on the new technical vocabulary identified some certain tendencies: it is necessary to take important steps to avoid foreign terms and find Georgian equivalents; the principle of using the synonymous terms needs to be changed, namely, if nowadays the international terms have preference their place should be taken by the Georgian terms; the artificial forms that were not accepted by the language should be eliminated.

So, in the new technical terminology all of the difficulties associated with the synonyms will be taken into consideration.